

თვითმმართველობის არჩევნები 2021

2 ოქტომბერს ამომრჩეველი 64 ქალაქის მერს და ამდენივე საკრებულოს 2 068 წევრს აირჩევს, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული წესით.

15 სექტემბრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოში დარეგისტრირდა 43 პარტია, ასევე რეგისტრაციაში გატარდა 31 საარჩევნო სუბიექტის პარტიული სია. სულ პარტიული სიით წარდგენილია 1 731 კანდიდატი, მათ შორის 807 (46.62%) ქალი და 924 (53.38%) - კაცი.

ოთხი თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატად დარეგისტრირდა 24 პირი, ხოლო 59 თვითმმართველი თემის მერობის კანდიდატად - 199 პირი.

საქართველოს დედაქალაქის - თბილისის თვითმმართველი ორგანოს - საკრებულოს წევრობის კანდიდატებად პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე რეგისტრირებულია - 1731, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე - 139 პირი.

თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების (გარდა თბილისისა) 63 საკრებულოს წევრობის კანდიდატებად პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე რეგისტრირებულია - 19 096 პირი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე - 2 692 კანდიდატი.

10 სექტემბრის მდგომარეობით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულთა რაოდენობა შეადგენდა 3 498 559 ამომრჩეველს, მათ შორის 1 874 961 (53.59%) ქალი და 1 623 598 (46.41%) - კაცი.

ყველაზე დიდი არჩევანი და კონკურენცია თბილისშია. მერობის მსურველთა სია დედაქალაქში ასე გამოიყურება:

- N1 - მასაბე ძალა-სტრატეგია აღმაშენებელი - თამარ კაკანაძე
- N5 - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ნიკა მალია
- N8 - პატრიოტთა ალიანსი - გიორგი ლომია
- N9 - ლელო - ანა ბიბილაშვილი
- N10 - ლეიბორისტული პარტია - მიხეილ ქუხიანი



- N13 - საქართველო - გიორგი ჟუთათელაძე
- N15 - მამული - თეიმურაზ ბოზოხიძე
- N20 - გიორგი ლალიძე-მოგავალი საქართველო - გიორგი ლალიძე
- N23 - ჩვენი გაერთიანებული საქართველო - არინზა რიჩარდ ოგბუნიჭუ
- N25 - მახარია-საქართველოსთვის - გიორგი მახარია
- N29 - მამუკა ტუსკაძე-სოციალური სამართლიანობისათვის - ქეთევან ნაკაშიძე
- N30 - მზრომელთა სოციალისტური პარტია - ევგენი ღვინიაშვილი
- N37 - თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიანაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჭოჭუა) -ზაზა ხატიანაშვილი
- N41 - ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო - კახა კალაძე
- N48 - ანა დოლიძე-ხალხისთვის - ანა დოლიძე
- N50 - გარეჩილაძე-მწვანეთა პარტია - გიორგი გარეჩილაძე

[🌐 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატები \(20 სექტემბრის მდგომარეობით\)](#)

[🌐 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის თვითმმართველ თემებში რეგისტრირებული მერობის კანდიდატები](#)

[🌐 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის თვითმმართველი ქალაქების მერობის კანდადიტები](#)



● საპილოტე პროექტი N04 კრწანისის საარჩევნო ოლქში

N04 კრწანისის საარჩევნო ოლქში ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა საპილოტე პროექტის ფარგლებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდება.

● მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები:

შეიცვალა საარჩევნო სისტემა და თვითმმართველ ქალაქებში პროპორციული და მაჟორიტარული წესით ასარჩევ საკრებულოს წევრთა პროპორცია (საარჩევნო სისტემა გახდა უფრო მეტად პროპორციული).

ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში დაწესდა ორტურიანი სისტემა (ბარიერი 40%). საარჩევნო ბარიერმა დაიწია და თბილისში განისაზღვრა 2.5 პროცენტით, ხოლო დანარჩენ საარჩევნო ოლქებში - სამი პროცენტით.

გაიზარდა პირთა წრე, ვისაც აკრძალული აქვს წინასაარჩევნო აგიტაციის განწევნა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება სამუშაო საათების განმავლობაში ან/და უშუალოდ სამსახურებრივი უფლებამოსილებების შესრულების დროს.

გაიზარდა კენჭისყრის შენობის გარშემო რადიუსი (მანძილი), კერძოდ დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე, დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა. ამასთან, ჩამოთვლილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღკვეთის შესახებ პოლიციის მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს უფარდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი.

გაიზარდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვის ჩამონათვალი, კერძოდ, საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად.



ეტლით მოსარგებლედ ამომრჩეველს შეუძლია მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, რისთვისაც მან კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-6 დღისა უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიას.

